ჰეპატიტი

შემოგვიერთდით ფეისბუკ გვერდზე:

„ჯანმრთელობის ხელშეწყობა“

ინფორმაციისათვის:

დარეკეთ: 1505 ან 255 39 39

ჰეპატიტი

ვირუსით გამოწვეული ღვიძლის საკმაოდ სერიოზული დაავადებაა. ინფექციის გადაცემის ძირითად ფაქტორს სისხლი წარმოადგენს.

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

www.moh.gov.ge

NCDC

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

www.ncdc.ge

C ჰეპატიტის მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები;
- პირები, რომელთაც C ჰეპატიტით ინფიცირებული სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ;
- C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთა ოჯახის წევრები;
- ინფიცირებული დედისგან დაბადებული ბავშვები;
- სამედიცინო პერსონალი, რომელთაც სისხლთან აქვთ კონტაქტი
- დიალიზზე მყოფი პაციენტები;
- პირები, რომელთაც სისხლის გადასხმა ან ორგანოთა გადანერგვა ჩაუტარდათ;
- პირები, რომელთაც ტატუ ან პირსინგი აქვთ გაკეთებული.

თუ თქვენ რომელიმე ზემოთხსენებულ რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებით, დაიმახსოვრეთ, რომ:

- C ჰეპატიტი ღვიძლის ციროზისა და კიბოს გამომწვევი ხშირი მიზეზია;
- C ჰეპატიტი ხშირად ინფიცირებიდან 20-30 წლის შემდეგ ვლინდება და დაავადებული თავისი ავადმყოფობის შესახებ მხოლოდ მაშინ იგებს, როცა ვირუსის მიერ ღვიძლი უკვე დაზიანებულია.

გაუფრთხილდით თქვენს ოჯახის წევრებს, გარშემომყოფებს:

- იქონიეთ ინდივიდუალური პირადი მოხმარების საგნები (საპარსი, კბილის ჯაგრისი, ფრჩხილის საჭრელი მაკრატელი და ა.შ.)
- სქესობრივი კონტაქტისას გამოიყენეთ პრეზერვატივი;
- სამედიცინო პერსონალს (სისხლთან დაკავშირებული გამოკვლევების ჩატარებისას) და სტომატოლოგს სასურველია მიაწოდოთ ინფორმაცია თქვენი მდგომარეობის შესახებ;
- სილამაზის სალონში ვიზიტისას (პედიკურ/მანიკური) ეცადეთ გამოიყენოთ ინდივიდუალური იარაღები.

თუ ფიქრობთ, რომ C ჰეპატიტით ინფიცირების რისკის ქვეშ ხართ ჩაიტარეთ ტესტირება!

ტესტირება ზრდის C ჰეპატიტის ადრეული გამოვლინებისა და წარმატებული მკურნალობის შანსს. დადებითი პასუხის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ c ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის მსოფლიოში ყველაზე ახალი, ეფექტური და ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობას.

გაითვალისწინეთ, რომ წარმატებული მკურნალობის შემდეგ ადამიანი შესაძლებელი კვლავ დაავადდეს C ჰეპატიტით!